**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 289 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 289

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.



**მაკო და ბებლარ ივანეს ძე წიწვიაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი შვილისა და და მეორე—ძმის

**სპირიდონ ივანეს ძის წიწვიაძისას.**

გამოსვენება მიცვალებულისა დანიშნულია 19 დეკემბერს ხონის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში. (2—1)

კვირას, 19 დეკემბერს განსვენებულის

**თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის**

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ახლად გარდაცვალებულის **დანი და სიძენი**. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, ხოლო პანაშვიდი—12 საათზე.

20 ამა დეკემბერს

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

**კონცერტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გასკისა; ბ-ნნი ვილშაუ, მესხი კ. ს., მესხიშვილი ა, ი., პოლივკა, რჩეულიშვილი, ტომაშევიჩი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ-ნ ზაქ. ფალიაშვილის ლოტბარობით

**კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული**

**ცეკვა.**

ბილეთები ისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურთა ქარვასლა). (5—5—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

შაბათს, 18 დეკემბერს,

გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

**რიგოლეტო**

მუსიკა ვერდისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ქ-ნნი ზასლავსკისა, ფერარისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, გალეცკი, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 19 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქმნება

**რუსალკა**

ოპერა დარგომიჟსკისა.

ორშაბათს, 20 დეკემბერს,

ბენეფისი და უკანასკნელი გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

**რომეო და ჯულიეტა**

ოპერა 5 მოქმ., მუს. გუნოსი.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,

კასსა «Location»-ის კასირ-ქალის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **მანდარინის შვილი**», ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

წარმოდგენა № 4.

**ვეტცელის თეატრი**

**(მიხეილის პროსპექტი)**

კვირას, 19 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის დასის-მიერ

წარმოდგენილი იქმნება

**პეპო**

კომედია 5 მოქმ., გ. სუნდუკიანცისა.

**მონაწილეობას ღებულობენ:** ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ლეჟავა, ჯავახიშვილი, ნებიერიძე და სხვ.; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ივანიძე, შალიკაშვილი, იორდანაშვილი, ჟივიძე და სხვანი.

**ადგილების ფასი:** 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3—1 მ. 25 კ., 4, 5 და 6—1 მან., 7, 8—80 კ., 9, 10—70 კ., 11, 12—60 კ., 13, 14 და 15—50 კ. ბალკონზედ ფეხზე დგომა—30 კაპ.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

**გამგეობა**

რადგანაც 12 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, რადგანაც კრება საზოგადოებისა დანიშნულია ხელ მეორედ სამშაბათს, 21 დეკემბერს საღამოს 8 საათზედ სამეურნეო ბანკის დარბაზში 3) და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწრას.

განსახილველი საგნები:

1. ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. ქ. დრ. რ. მომავალი 25 წლის იუბილეის პროგრამმა.
6. ახალ წევრების არჩევანი.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აბეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს», აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

პორტ არტური. «ნოვ. დრ.»-ას სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ პორტ არტურის ფორტებში ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი ერლუნშანისა, სუნშუნშანისა და მწყრის გორის ფორტებიაო.

სამივე ფორტი რკინის გზის გაყოლებაზედ, აღმოსავლეთით არის აშენებული. ერლუნშანის ფორტი ეხლახან იაპონების მიერ აღებულ კიკვანშანის ფორტის გვერდით არის და, სხვა ფორტებთან შედარებით, უფრო ჩრდილოეთისაკენ არის გაწეული; მეორე—სუნშუნშანის ფორტი ერლუნშანის სამხრეთით და 203 მეტრიან გორის გასწვრივ არის; მესამე—მწყრის გორის ფორტი სუნშუნშანზედ უფრო სამხრეთით არის და ძველსა და ახალ ქალაქებს ზევიდგან დასცქერის.

—

დღევანდელ ოფიციალურ დეპეშებიდგან სჩანს, რომ 15 დეკემბერს, დილის 10 საათზედ იაპონელებმა 7 ნაღმით ერლუნშანის ფორტის ბრუსტვერი ააფეთქეს. შემდეგ იაპონელთა ქვეითა ჯარი იერიშით მივიდა და ხანგრძლივ ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ საღამოს 7½ საათზედ ერლუნშანის ყველა ფორტები აიღეს. იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს 1000 კაცი.

—

კიკვანშანის ფორტი ტოკიოდგან ოფიციალურად იტყობინებიან: გენერალ ნოგის მთავარ ბანაკიდგანიუწყებიან, რომ იაპონელებს ჩრდილოეთ კიკვანშანის ფორტის აღების შემდეგ სამხედრო დავლად დარჩათ 4 მსწრაფლმსროლელი ზარბაზანი, 4 ტყვის მფრქვეველი, 5 საბარო ზარბაზანი და მრავალი სხვა და სხვა გვარი ყუმბარა, სამხედრო მასალა და სხვ. (რ. ვ.).

—

ინგლისური გაზეთები „დეილ ნიუს“-ი სწერს, რომ ეხლა კი პორტ არტურს საცაა ბოლო მოეღებაო. კიკვანშანის ფორტების აღებით იაპონელებმა ციხის აღმოსავლეთ სიმაგრეთა წრე გაარღვიეს და შუაზედ გაჰყვეს. გაზეთი ამბობს, რომ იაპონელები შობასა და ახალს წელს პორტ არტურში იდღესასწაულებენო.

—

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა და იაპონიის ფლოტი. «ნოვოე ვრ.»-იას ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ: ლონდონში ადმირალის კამიმურას ესკადრის მოძრაობას გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. დღეს (10 დეკ.) ცნობა მოვიდა, რომ კამიმურას ესკადრამ, რომელშიაც 2 ჯავშნოსანი, 6 კრეისერი და 12 ნაღმოსანია, მალაკის სრუტე გაიარაო. ამბობენ, კამიმურას უნდა ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის ცალკე რაზმებს დაეცეს და ცალ-ცალკე დაამარცხოსო. კამიმურას გემები ეხლანდელ ომში სულ არ დაზიანებულან და იაპონიის მთელ ფლოტში უმსწრაფ-მავლებად ითვლებიან. ადმირალი ტოგო თავის ჯავშნოსნებითა, კრეისერებითა და ნაღმოსნებით ფორმოზისა და ნატუნის კუნძულებთ შუა დადის. ადმ. ტოგოსა და კამიმურას ესკადრა როჟესტვენსკის ფლოტის მონახვის გარდა ეცდება დაიჭიროს ყველა გემი, რომელსაც კი რუსებისთვის კონტრაბანდა მიაქვს (ნ. ვ.).

—

«ლოკ. ანც.»-ის სამხედრო მიმომხილველი, კაპიტანი პუშტაუ რუსეთის ფლოტის შესახებ სწერს: ეხლა კი უეჭველია, რომ «სევასტოპოლ»-ი, რომელმაც 203 მეტრიან გორის ყუმბარებისგან თავი გარე ნავთსადგურს შეაფარა, უკანასკნელი ცნობებით იმდენად დაზიანდა, რომ ამას იქით ბრძოლის თავი აღარ ექნება. კაპიტან პუშტაუს აზრით პორტ არტურში დაღუპული რუსეთის ესკადრა 400 მილიონ მარკამდე (200 მილ. მან.) ღირდა. ეხლა კი,—ამბობს კაპიტანი, მთელი ქვეყანა ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრას ადევნებს თვალ-ყურს. ამ ცოტა ხანებში ადმ. ფელკერზამის დივიზია როჟესტვენსკის შეუერთდება და მერე ერთად ისევ გზას გაუდგებიან. პუშტაუს აზრით, რუსეთის მეორე ესკადრას დიდი საფრთხე მოელის (პ. ვ.).

—

იაპონელი მცოდნე მეზღვაურები ამბობენ, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა ასე ნელა იმიტომ მოდის, რომ გზაში ალლუმებს აკეთებს და მომავალ ბრძოლისათვის ემზადებაო (რ. ვ.).

—

ის კი იციან, რომ იაპონიის ფლოტის ერთ-ერთი რაზმი სინგაპურს გასცდა და მალაკის სრუტეში შევიდა, მაგრამ დანამდვილებით არავინ არ იცის, რომელ ადმირალისაა ეს ესკადრა და სად და რისთვის მიდის. ზოგი სამხედრო მიმომხილველი სწერს, ეგ ტოგოს ესკადრაა და როჟესტვენსკის დასახვედრად აფრიკაში მიდისო; ზოგი სწერს, ადმირალ კამიმურას ესკადრაა და ინდოეთის ოკეანეში იმიტომ მიდის, რომ უნდა რუსეთის ესკადრებს შეერთების ნება არ მისცეს და ცალ-ცალკე დაამარცხოსო; ზოგიც ამბობს, ეგ ესკადრა ადმირალ ურიუს მხოლოდ მზვერავი რაზმია და, სხვათა შორის, იმ გემების დაჭერა უნდა, რომლებიც როჟესტვენსკის ფლოტს ნახშირს აწვდიანო. რომ ზემოხსენებული ესკადრა ტოგოს ფლოტი არ არის, ეს იქიდგან სჩანს, რომ 8 დეკემბერს ტოგომ, როგორც თვითონ იტყობინებოდა (იხ. გუშ. «ივერია»), პორტ არტურთან ჯავშნიანი გემი «სევასტოპოლ»-ი დაათვალიერა; სამხრეთისაკენ მიმავალი ესკადრა კი 10 დეკემბერს, ე. ი. ორი დღის შემდეგ სინგაპურს გასცდა. ეს ესკადრა, როგორც ინგლისელი მეზღვაურები სწერენ, უნდა იყოს ადმირალ კამიმურასი, ანუ ურიუსი. ამის შესახებ ტოკიოდგან «დეილ ექსპ.»-ს ატყობინებენ: აქ ამბობენ, ადმირალ კამიმურას ესკადრა უფრო სადარაჯო რაზმია, ვიდრე საბრძოლველიო. არც ისა სჯერათ, ვითომ როჟესტვენსკი საიგონთან გაივლის (საიგონში რუსეთის დაზიანებული და იარაღ აყრილი კრეისერი „დიანა“ სდგას). კამიმურას აზრი ის არის, რომ როჟესტვენსკის ესკადრას იაპონიის ზღვებში მოსვლა დაუშალოს; მაგრამ თუ კამიმურამ ეს საქმე ვერ აასრულა, მაშინ ადმირალი ტოგო მთელის ესკადრით სახრეთისაკენ წავა და როჟესტვენსკის შეებრძოლებაო (რ. ვ.).

—

შანჰაიდგან რეიტერის სააგენტო იუწყება: ამბობენ, რომ კამიმურას ესკადრის მაშველი კრეისერი 9 დეკემბერს სინგაპურში იმისთვის მივიდა, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრისთვის დამზადებული და ნახშირით დატვირთული გემები დაიჭიროსო (რ. ვ.).

—

გაზეთ «რუს»-ს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ: სინგაპურიდგან ნამდვილი ცნობა მოვიდა, რომ ადმირალ კამიმურას ესკადრა სინგაპურის მიდამოებში დადის. კამიმურას აქვს 2 ჯავშნოსანი, 4 კრეისერი, 12 ნაღმოსანი და 15 ნახშირით დატვირთ-ული ტრანსპორტი. ადმირალ კამიმურას დანიშნულება და აზრი არ იციან; ზოგი ამბობს, ზონდისა და მალაკის სრუტეებს სდარაჯობსო, ზოგი—რამდენადაც კი შეიძლება, როჟესტვენსკის ესკადრას ზიანი უნდა მიაყენოსო; ზოგი—როჟესტვენსკის ხელი შეუშალოს და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის რომელსამე ნავთსადგურში შესვლის ნება არ მისცესო; ზოგიც—ფელკერზამის რაზმს შეებრძოლოს და ამ რიგად იმასა და როჟესტვენსკის შეერთებას ხელი შეუშალოსო (რ. ვ.).

—

რეიტერის სააგენტომ გაზეთებს შემდეგი ცნობა შეატყობინა: მომავალ წლის იანვრის 1 ფუზანსა და სეულს შორის იაპონიის რკინის გზა წესიერად დაიწყებს მუშაობას, იჯუსა და პიენიანს შუა სამხედრო რკინის გზაც გაიხსნება. ამის გარდა, იანვრის დამდეგს მანჯურიაში დამთავრდება რვინის გზის გაყვანა ლიაოიანიდან ანდიანსიანამდე ფუზანიდგან იალუმდე და ანდუნიდგან. აღმოსავლეთ ჩინეთისა და ციმბირის გზით პირდაპირ ევროპაში შეიძლება გადასვლა. იაპონიისა და ყვითელ ზღვებთ შუა მიმოსვლა უზრუნველ-ყოფილია სეულ-ჩემულპოსა და სეულ-გენზანის გზით. ყველა ეს გზები იაპონიის ხაზინამ გააკეთა. თუ რა დაბრკოლება დაუხვდა ამ გზების აშენებას, ეს იქიდგან სჩანს, რომ იაპონელებმა საერთოდ 23,800 ფუტის სიგრძის გვირაბები გაიყვანეს. ეხლა იაპონელები კორეიაში ათასობითა და ათი ათასობით, გადადიან და რკინის გზის გაყოლებაზედ სახლდებიან (რ. ვ.).

—

გემი «მიგრეცია». დეპეშებიდგან უკვე ვიცით, რომ ამ ცოტა ხანში კორეის სრუტესთან იაპონიის კრეისერმა გემი «მიგრეცია» დაატყვევა. ამის შესახებ ლონდონიდგან «ბერლ. ტაგებ“-ს ატყობინებენ, რომ გემზედ იყვნენ მეზღვაურები და კაპიტანი ნაღმოსნის „გროზოვოი“-სა, რომელიც იარაღ აყრილი შანჰაიში იდგა. იაპონელებმა რუსის კაპიტანს ძალიან საჭირო და საგულისხმო რუქები და ქაღალდები უპოვეს. მეზღვაურების გარდა გემს დიდძალი კონტრაბანდა მიჰქონდა. მეორე გემი—„კოროლ არტური» იაპონიის მოდარაჯე გემმა დაიჭირა. ამ გემმზედ რუსის საზღვაო აფიცრები

იყვნენ და ადმირალ. როჟესტვენსკის ესკადრასთან შეერთება უნდოდათ (რ. ვ).

—

გულში მომხდარ ამბის შესახებ «ნოვ. ვრ.“-ის ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ: «სტანდარტ»-ი სწერს, რომ გულის ამბავის შესახებ ადმირალმა როჟესტვენსკიმ რუსეთში უმავთულო დეპეშით საინტერესო და საგულისხმო ცნობები გამოგზავნა, მაგრამ ეს დეპეშა ინგლისის მთავრობას ჩაუვარდა ხელში. ამ ამბის გამოსაკვლევად დანიშნულ კომისიის კრებაზედ,—სწერს გაზეთი, ინგლისის მთავრობა როჟესტვენსკის ზემოხსენებულს დეპეშას გამოამჟღავნებს და დაამტკიცებს, რომ როჟესტვენსკი დამნაშავე იყო.

ამავე გულის ამბის შესახებ «ნოვოე ვრ.»-ს ატყობინებენ: ლონდონში რუსეთის კონსულთან რამდენიმე ინგლისელი მეთევზე მივიდა და სთქვა: ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ როჟესტვენსკის ესკადრას იაპონელთა ნაღმოსნები დაეცნენო. ეხლა კი იმავე მეთევზეებმა ეს ცნობა უარ ჰყვეს და გამოაცხადეს, პირველად ეგრე იმიტომ ვსთქვით, რომ რუსეთის აგენტებმა დაგვათვრეს და შეგვისყიდესო (ნოვ. ვრ.).

# ახალი ამბავი

—

**ქართული საღამო მოსკოვში.** მოსკოვიდგან გვწერენ: «წრევანდელს საღამოში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნთ ვ. ნ. პეტროვისამ, ა. მ. ტომსკაიამ, ე. მ. ვივიენმა; ბ ნთ მ. კ. მაქსაკოვმა. ა. ვ. სეკარ-როჟანსკიმ, ვ. ნ. ტრუბინმა, პ. ს. ოლენინმა, ვ. ი. კაჩალოვმა და ს. ი ევლახიშვილმა. ბ-მა კ. ი. კაჩალოვმა წაიკითხა ვ. კოროლენკოს ამბავი «Старый звонарь»; ბ-ნმა ს. ი. ევლახიშვილმა იმღერა ბ-ნ დიმ. არაყიშვილის რომანსი «ორთავ თვალის სინათლე».

ხორომ ბ-ნის დიმ არაყიშვილის ლოტბარობით შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა, რომელიც საზოგადოებამ ერთობ მოიწონა და ტაშის ცემით დააჯილდოვა ლოტბარი. ცალკე წერილს ამ მოკლე ხანში დავბეჭდავთ მოსკოვში გამართულ მე-30 ქართულ საღამოს თაობაზედ.

** **ადგილობრივ ბეჭვდითი სიტყვის მოღვაწეთა კრება**. რომელიც დანიშნული იყო არტისტულ საზოგადოების დარბაზში კვირას, 19 დეკემბრისათვის ტფილისის გუბერნატორის ნებართვით, აღარ შესდგება და გადაიდო სხვა დროისათვის.

** **სახალხო წარმოდგენა ვეტცელის თეატრში.** ხვალ, კვირას, 19 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში წარმოადგენენ ჩვენის თეატრის მსახიობნი ბ-ნ გაბრ. სუნდუკიანცის 3 მოქმედებიან კომედიას «პეპო»-ს. წარმოდგენა იაფ-ფასიანია.

** **ქუთაისის ნაფიცი ვექილნი და მათნი თანაშემწენი** დღეს, 18 დეკემბერს, ქუთაისში გამართავენ სადილს სამოსამართლო დებულების წესდებათა გამოქვეყნებიდგან ორმოცის წლის შესრულების გამო.

** **საქველმოქმედო საღამო გორში.** ოთხშაბათს, 22 დეკემბერს ქ. გორში გაიმართება სამუსიკო და საცეკვაო საღამო იქაურ ქალების გიმნაზიისა და სამოქალაქო სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა დასახმარებლად.

** **სასამართლოს ბოქაულის შეურაცხყოფა.** ამ დღეებში ტფ. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლმა განყოფილებამ განიხილა საქმე ტფ. მდაბიო მოქალაქის ეკატირინე ოსიფოვისა, რომელსაც მე-4 ნაწილის სასამართლოს ბოქაულის ბ-ნ შიუკაშვილის სამსახურის აღსრულების დროს სიტყვითა და მოქმედებით შეურაცხყოფა ჰბრალდებოდა. თურმე სასამართლოს ბოქაული ბ-ნი შიუკაშვილი ეკატ. ოსიფოვის ბინაზედ მისულა სასამართლოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად; ოსიფოვისას გული მოსვლია, ხელი უკრავს ბ ნ შიუკაშვილისათვის და მექრთამე უწოდებია. ოლქის სასამართლოში ყოველივე ესე დაამტკიცეს მოწმებმა; სასამართლომ დამნაშავედ იცნო ეკატირინე ოსიფოვისა და გადაუწყვიტა 20 დღით ციხეში დაპატიმრება.

** **ქუთ. საურთ. ნდობის საზოგ. წევრთა კრება.** ხვალ, 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდება ხსენებულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელიც დანიშნული იყო 5 დეკემბრისათვის, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა. ეს კრება, როგორც ერთხელ უკვე გადადებული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

** **არჩევნები მოქალაქეთა საზოგადოებაში.** იანვრის პიოველ რიცხვებისათვის დანიშნულია არჩევნები ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს ნება-რთვა, რომ რწმუნებულთა არჩევნები მოხდენილ იქმნას არა ცალკ-ცალკე უბნებში და რამდენსამე კრებაზედ, როგორც აქამდე იყო, არამედ საერთო კრებაზედ. გამგეობა საკრებულოს სახელმძღვანელოდ სთხოვს აგრედვე ინსტრუქციას არჩევნების დროს.

** **საქართველოს კალენდარი 1905 წ.** რედაქციამ მიიღო „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“-მიერ გამოცემული «საქართველოს კალენდარი» 1905 წლისა, რომელშიაც მოთავსებულია სურათი, როგორც ქართველთა ᲓᲐ უცხო მოღვაწეთა, აგრედვე იაპონელთა ცხოვრებიდგანა და ბრძოლის ველიდგან. წიგნი სუფთადაა გამოცემული, მოზრდილის ფორმატისაა და მოთავსებულია მრავალი საჭირო ცნობები. კალენდარი შეიცავს 618 გვერდსა და ჰღირს 70 კაპეიკად.

** **ფულის გადადება დამატებით ჯამაგირებისათვის.** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 16 დეკემბერს განაგრძო განხილვა 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. სხვათა შორის, გამგეობამ დაადგინა, შეიტანოს ხარჯთ-აღრიცხვაში 12,000 მან. ქალაქის თვით მმართველობის მოხელეთა დამატებით ჯამაგირებისათვის.

** **პოლიციელთა შტატების გაძლიერება.** ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა პოლიცმეისტერს, დიდუბეში პოლიციის მოხელეთა შტატი გააძლიერეთ, რადგან ამ ადგილებში ხშირია ქურდ-ბაცაცობა და თავ-დასხმაო. პოლიცმეისტერმა მოითხოვა, ყოველ წლიურად ქალაქმა თავის თანიდგან 900 მანეთი გადასდოს სამის პოლიციელის ჯამაგირადაო.

** **ღორის ხორცის მოვაჭრე ყასბებმა** საერთო თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში და თხოულობენ, რადგანაც ღორის ფასმა აიწია, ღორის ხორცის ნიხრს მოუმატეთო.

** **ხორცის დუქნების არსებობის გამო.** როგორც მკითხველთ უწყიან, ტფ. საქალაქო ხორცის დუქნები დიდ ზარალს აძლევს ქალაქს. ამის გამო ეს ერთი ხანია ლაპარაკი ჩამოვარდა იმის თაობაზედ, გააუქმონ საქალაქო ხორცის დუქნები თუ ისევ აწარმოვონ ეს საზარალო საქმე. ქალაქის გამგეობისა და ხორცის დუქნების გამგე კომისიის უკანასკნელს კრებაზედ საქალაქო ხსენებულ კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ევანგულოვმა განაცხადა—ერთხელ და სამუდამოდ გადავსწყვიტოთ ეს საგანი, მოვსპოთ საქალაქო ხორცის დუქნები თუ არაო, რადგან დიდი ხანია ქიანურდებაო. ამ საგნის თაობაზედ გუშინ საგანგებო კრება ჰქონდა ტფ. ქალაქის გამგეობასა, საფინანსო და ნიხრის გამწესებელ კომისიებს.

** **ამხანაგობა «მოკეთე».** ახალციხის მაზრის სოფ. ხიზაბავრის (ჯავახეთი) მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ დააარსონ პაებით სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა «მოკეთე» და ამის გამო შუამდგომლობა უკვე დაუწყვიათ ტფ. გუბერნატორთან.

** **ტფილისის ქალაქის გამგეობამ** წინადადება მისცა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, 1905 წლისათვის სასწავლებლის შესანახი ხარჯები შეამცირეთ და ამით უკანასკნელ ორის წლის დეფიციტი დაჰფარეთო.

** **ტფილისის ქალაქის მოურავმა** ქ. ა. ვერმიშევმა აცნობა ტფ. გუბ. სახელმწიფო ქონებათა გამგეს, რომ სომეხ-გრიგორიანთა ქონებაზე წასულის წლებისა დარჩენილია სახელმწიფო და საერობო გადასახადების ნედოიმკა 1260 მანეთი.

** **თავდასხმა.** 15 დეკემბერს, საღამოს 11 საათზედ, სოფ. ავჭალაში (ტფ. მაზრა) სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი თავს დასხმია გასაძარცვავად ადგილობრივ ბადის პატრონის მადერის სახლს. ბოროტ-მოქმედნი მოსამსახურეს ხაჩატუროვს შეუნიშნავს. ბოროტ-მოქმედთ ხაჩატუროვი რამდენსამე ალაგას დაუჭრიათ თავსა და სხვა ადგილას. მოსამსახურის ყვირილზედ მეზობლები შეგროვილან და ბოროტ-მოქმედნი გაქცეულან. ხაჩატუროვის ჭრილობა საშიში არაა.

—

## გაკვრით.

**მეჩექმე ხელოსანთა არჩევნებისათვის.**

გუშინ-წინ, 15 დეკემბერს იყო დანიშნული მეორედ არჩევანი მეჩექმეთა გამგეობისა. სულ იყო დაძახებული ას ორმოცდა ათ კაცამდინ. 65, თუ 66 კაცმა მაიყარა თავი. თუმცა ძალიან მეცადინეობდნენ მთელის ორის კვირის განმავლობაში უსტაბაშობისათვის სალეროლლაშლილნი, რომ მეტი ხალხი მიემხროთ, მაგრამ ამაოდ. ხალხი ისე ბრმა და ყრუ აღარ არის, როგორც ამ შვიდი რვა წლის წინად. დღეს ყველა იმის კვლევა-ძიებაშია—ესა თუ ის საუსტაბაშე რა პატიოსნების კაცია, შეუძლიან ამოდენა ამქრის წინ გაძღოლა, პატრონობა თუ არაო. აი დღესაც ამ ავ-კარგიანობაზედ იყო ლაპარაკი, ანუ ყოფილ უსტაბაშზედ: ხუთი ექვსი წელიწადია სახელოსნო გამგეობაში ტრიალებსო (წინად უსტაბაშის თანაშემწედ იყო და წელიწადი გაუხდა უსტაბაშათაა) და გვაჩვენეთ, რა გააკეთაო. გაკეთებაზედ ვერავინ რა სთქვა, მაგრამ გაფუჭებითაც არა გაუფუჭებიარა. მეორეც,—იმასა თხოულობდნენ მოანგარიშეთაგან, რომ ჯერ დავთრები უნდა გაგეშინჯათ, ანგარიში ჩამოგვერთმიათ და მერე დაგენიშნათ არჩევანებიო. ეს სწორეთ საბუთიანი თხოვნა იყო, მაგრამ ცოტა ნაგვიანევი გამოდგა. ორის ნახევარზედ უკვე ხალხმა ფიცი მიიღო და შეუდგნენ კანდიდატების დასახელებას. სულ ექვსი ყუთი დაიდგა. ხმის უმეტესობამ უსტაბაშათ ისევ ყოფილი ნასყიდოვი ამოირჩია და მის ამხანაგათ კი თომა ჯანყარაშვილი. კაცმა რომ სულქვეშა სთქვას, ზოგი ერთს ძალათ მაცხონეებას რომელებიც უხეირო კოვზივით შიგ ეჩხირებოდნენ, ისევ ესენი სჯობდნენ. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ორი კეთილ საიმედო კაცი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი თავიანთ ჯანითა და ღონით გაუძღვებიან მთელ უშველებელ ამქარს და გააკეთებენ იმას, რაიცა აქამომდე არავის გაუკეთებია. იმედია, მეტს ყურადღებას მიაქცევენ ჯან-გატეხილსა და ხელ-მოკლე ხელოსანთა და მათ ოჯახობას, გაითვალისწინებენ აგრეთვე მცირე წლოვან შეგირდების ყოფა-მდგომარეობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა საპოლიციო უბანში ოროლ მეთვალყურეს მაინც დანიშნავენ, რომ ყველას გაჭირვება-დალხინებას თვალ-ყური ადევნონ, მით უმეტეს რომ ქალაქი გადიდდა და გამგეობა ყოველ მხარეს თვალსა და ყურს ვერ აწვდენს ვერავის გაჭირვება დალხინებას, ამიტომ ხანდახან ისე უპატრონოდ და უამქროდ იმარხება ჩვენი ხელოსანი. ეს კი სირცხვილია ჩვენთვის.

ს. ბერძნიშვილი.

# საქართველო

—

**სოფ. ბაღდათი** (იმერეთი). **უფასო საავადმყოფო.** როგორც უკვე მოვახსენეთ მკითხველებს, აქ დაარსდა უფასო საავადმყოფო, რომლის გამო ბაღდათს მოვიდნენ 6 დეკემბრეს ქუთაისის მაზრის უმფროსი თ-დი დადეშკელიანი, გუბერნიის ექიმის თანაშემწე ბ-ნი გიარნოვსკი და ექიმი ბ ნი ლორთქიფანიძე ხსენებულ საავადმყოფოსათვის დროებით სახლების ასარჩევად. ბ-ნი ლორთქიფანიძე უკვე დანიშნულია საავადმყოფოს ექიმათ. მაზრის უმფროსმა მიულოცა ბაღდათელებს საავადმყფოს დაარსება, უთხრა შესაფერი სიტყვა და დაჰპირდა, რომ თუ ააგებთ სახლს საავადმყოფოსათვის, ყოველ წლიურად მიიღებთ მთავრობისაგან ქირას 800 მანეთამდე და ამ ფულით ცოტას დამატებით, შეძლება მოგეცემათ საქალაქო სასწავლებელიც დააარსოთ, ვინაიდგან დანარჩენ ხარჯს ხაზინა იკისრებსო. ამით მაზრის უმფროსმა ძლიერ გაახარა ბაღდათლები. დროებით საავადმყოფოსათვის აირჩიეს ყარამან შარვაშიძის სახლი, შემდეგში კი აქაურები ააგებენ სახლს, თანახმად მაზრის უმფროსის რჩევისა. საავადმყოფო დაიწყებს მოქმედებას პირველ იანვრიდგან.

**ცრუ მორწმუნეობა და მისი შედეგი.** სწავლა-განათლებას, როგორც სჩანს, კიდევ ვერ გამოუფხიზლებია ზოგიერთების გონება და ვერ აღმოუფხვრია მათ შორის ცრუმორწმუნეობა, რომელსაც არა იშვიათად დიდი უბედურება მოჰყვება ხოლმე. 3 დეკემბერს ღამით აქ დაიწვა ორი ქალი 10—12 წლისა. საქმე ასე ყოფილა: უმფროსებს უთქვამთ ქალებისათვის, ამაღამ საბძელში გაათიეთ ღამე, რადგან ხვალ (4 დეკემბერს) «ფერხაობაა», დილით კი ადრე შემოდით სახლში, სხვამ არ შემოგასწროთ, რომ სიკეთე და ბედნირება ჩვენსკენ წამოვიდეს, თორემ თუ ვინმე სხვა «ცუდი ფეხით» შემოვიდა, დავიღუპებითო. ქალები წასულიყვნენ საბძელში ღამის გასათევად, გაჩენილიყო იქ ცეცხლი და საბრალო ქალები დამწვარიყვნენ.

**სადემეტრაოს სკოლის დაარსება.** ბაღდათის სასოფლო საზოგადოებაშია სოფელი სადემეტრაო, რომელიც ექვს ვერსზეა დაშორებული ბაღდათის ორკლასიან სკოლაზედ. ამ სოფელში 229 კომლი გლეხია. ბაღდათის სკოლაში

# ფელეტონი

—

## სადღეისოდ.

კიდევ საერო ფერი.—დავიჯერო, მოახლოვდეს.—ქართული ფილარმონია.

როგორც თ-მა თარხნიშვილმა, ისე მამა პ. კარბელაშვილმა ამას წინეთ ივერიაში დაბეჭდილის წერილებით ნამდვილად დაგვიმტკიცეს მხოლოდ ის, თუ ქართული დროშები როგორი ნაკერ-ნაქარგი და მოყვანილი ყოფილა, ან ზედ რა ხატულა. მაგრამ ძველ საქართველოში საერთოდ მიღებული რა და რა ფერი იყო, ფიქრადაც არ მოსვლიათ, არა თუ ეხსენებინათ.

სწორეთ მათი წერილების წინ ივერიაშივე მოკლე განმარტებას ვწერდი დორპატელი ქართველი სტუდენტის წერილის პასუხად და საბუთად მისა, რომ საქართველოში, თამარ მეფის დროს, საეროდ მიღებული წითელი და შავი ფერი ყოფილა, მომყავდა ვეფხის ტყაოსნიდან ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია:

ავმართე დროშა მეფისა
ალმითა წითელ შავითა.

დიახ წითელ-შავით და არა შავ-წითელით. საქმე ის კი არ არის, ქართულ დროშაზე წმინდა გიორგი, უფლის ჯვარი, თუ ღვთის მშობელი იყო გამოხატული, არამედ ის, თუ რა ფერი რამდენი იყო მიღებული და როგორის წყობილობით, რადგანაც დღეს ევროპაში მხოლოდ სადა ფერები აქვთ შემოღებული უფრო კი სამფერადი და ჩვენშიაც ის ალამი წითელ-შავი უეჭველია სადა ფერებიანი იყო, მხოლოდ ორ ფერადი.

ფერების პატივისცემაც ძველი ჩვეულება უნდა ყოფილიყო, თუ ქრისტიანობის არა უძველესი. საკვირველია, ყველაფერი ქრისტიანობით უნდა დავიწყოთ და ქრისტიანობით, ანუ უფრო მართლმადიდებლობით გავათავოთ, თითქოს ქრისტეს დაბადებამდე საქართველოს ერად ცხოვრება და სამეფო არ ჰქონოდეს, ჯარი არ ჰყოლოდეს და დროშები არ ააემართოს შინ ზარისა და ზეიმის და გარეთ მტერთან ბრძოლის დროს.

**

რუსეთის მწერლობა, კაი ხანია, გაიძახოდა, გაზაფხული მოახლოვებულია და ზოგჯერ ჩვენებური მწერლობაც გულუბრყვილოდ ბანს აძლევდა დიდის წყალობის დიდი მოიმედე, ხოლო ცხოველი მაგალითების უგულებელ მყოფელი. უკანასკნელი უმაღლესი ბრძანება ეგებ ნაოცნებარ-ნალოდინევის გაზაფხულის მოახლოვების მომასწავებელიც იყოს, მაგრამ როგორ დავიჯერო ასეთი გაზაფხული ჩვენშიაც მოახლოვდეს: ამიტომ რაღა გვეთქმის მის მეტი, რასაც იმერეთში თალიკოს გათხოვებაზე მარო ეტყვის ხოლმე სოფოსა, ტაროსი შენაო.

დიახ, ტაროსი ჩვენ ცხოვრებასა და მწერლობას! მხოლოდ ტაროსი ლიტონი სიტყვაა, თორემ ნამდვილი ბედნიერება ჯერ კიდევ შორს არის და არც არავინ გამოუშვებს ჩვენკენა. მაშ ჩვენ თვითონ ვეძიოთ ჩვენი ბედნიერება: დაე ჩვენი ქვეყნისა და ცხოვრების გაზაფხული ისევ ჩვენებურმა მერცხალმა გვახაროს. ჩრდილოეთის მერცხალი და სამხრეთის მერცხალი! რა დიდი განსხვავებაა ამ ორს ერთგვარ ფრინველში, თუმცა ორივე ღვთის ქათმებია და რა სახტად დავრჩებით, თუ გაზაფხულზე ჩვენებური ცქრიალა და კუდმაკრატელა მერცხლის ჭიკჭიკი აღარ მოგვესმა.

**

ამ დღეებში ოფიციალად მოქმედება უნდა დაიწყოს ერთმა ახალმა ქართულმა დაწესებულებამ, რომელმაც გალობა უნდა გაგვაგონოს არა გაზაფხულის მერცხლის, ან ბულბულისა, არამედ საგანგებოდ გაწვრთნილ მომღერალთ პირითა და დამკვრელთ ხელითა, ხმა ნამდვილ სამშობლო და სამშობლო სიმთა ჟღერითვე განვითარებული.

მოკლედ რო ვთქვათ, ამ დაწესებულებას ეწოდება ქართული ფილარმონია, ე. ი. ქართული ჰარმონიის (მუსიკის) მოყვარეობა და წესდების დედა-აზრიც სწორედ ის არის ქართული მუსიკა შეიკრიბოს, ხელოვნურად შემუშავდეს და განვითარდეს. თუმცა საზოგადოებას არ ეძრახვის, იმავე წესდების წალით, ღონის ძიების გასაძლიერებლად, სხვაგნებური მუსიკაც მოასმენინოს თავის წევრთ სხვა და სხვა ოპერებისა და ოპერეტებისა დადგმით.

ეხლა, რა კი საზოგადოება დამტკიცდა და მით ქართველ მუსიკოსებს გაუჩნდათ სავარჯიშო სარბიელი, ჩვენც რაღა დაგვრჩენია მის მეტი, რომ ვისურვოთ მათთვის ნაყოფიერი და სასახელო მოღვაწეობა, ხოლო თვით საზოგადოებისათვის მრავალ ჟამიერ დღეგრძელობა და საყვარელი საქმის ერთგული სამსახური.

ამ საზოგადოების მნიშვნელობა ჩვენი ერად ცხოვრების წარმატებისათვის ისეთი დიდია, რომ სწორედ სანატრელია საქართველოს ყოველ კუთხეში გაიმართოს მის სასარგებლოდ კონცერტ-სპექტაკლები და შემოწირულებაც შეგროვდეს პირველი თანხის შესადგენად, რომ ფეხი აიდგას.

ერთ ჩემ სადღეისოში ვამბობდი ქართველი ხალხი სიმღერაში ფრინველებს ეჯიბრება მეთქი და დღეს, როცა ამ ნიჭს აღმზრდელი და განმავითარებელი გამოსჩენია, ნუ თუ რაც მის ხელთ არი, მით ვერ დაგვიახლოვოს ის ბედნიერება, რომლისაც ასე გვერიდება.

კლდია.

—

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი.

III **გერძო კომისიის რევიზია.** *)

II განვიხილოთ ახლა მეორე ჯგუფის (კომისიის) მოხსენება. ეს კომისია გაცნობია განსაკუთრებით თამასუქების ოპერაციებს, რომელიც გაუყვია ოთხ დარგათ: 1) ვადა გასული, მაგრამ შემდეგ განადდებული თამასუქები; 2) ვადა გასული თამასუქები: პროტესტ-ქმნილი და უპროტესტო. 3) სასამართლოს საქმეები და 4) საკომისიო თამასუქები.

1) როგორც ჩანს კომისიის განხილვიდან, თამასუქების ვადის გადაცილება ყოფილა ფრიად ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენა ქუთ. ბანკში, ბევრი თამასუქი მთელი თვეობით და წლობით ყოფილა ვადა-გასული, გაუნაღდებელი და გამოუცვლელი.—ამ გვარ მსესხებელთა წინააღმდეგ, ამბობს კომისია, უნდა მიეღოთ შესაფერი ზომა ბანკის წესდების §-25-ის ძალით და უნდა გადაეხდევინებინათ, ჩვეულებრივ სარგებლის გარდა, კიდევ ჯარიმა (პენი) 12%. ჩანს ბანკის ორგანონი (საბჭო და გამგეობა) მაინც და მაინც თანაგრძნობით არ ეკიდებოდენ ამ გვარ გადახდას და ცდილობდნენ შეემცირებინათ ჯარიმა, მაგრამ რადგან წესდების დარღვევა ეძნელებოდათ, ამიტომ უსარგებლნიათ ბანკის საბჭოს უფლებით სარგებლის რაოდენობის აღრიცხვის შესახებ და ვადა გასულ თამასუქთა პატრონთათვის შეუმცირებიათ სარგებლის რაოდენობა, ე, ი. 9%-დან დაუყვანიათ 6%-ედ. ამ რიგათ 1898 წელს აპრილში გამოსულა საბჭოს დადგენილება, რის ძალითაც ბეჯითი მსესხელნი, ე. ი. თავის ვადაზე ფულის შემომტანნი იხდიდენ 9% სარგებელს, არა-ბეჯითნი კი, ე. ი. ვადაზედ არ შემომტანნი მხოლოთ 6%-ს მაგრამ არც ამაზე შემდგარა საბჭო: 5 თებერვალს 1899 წელს გამოუცია მეორე დადგენილება, რითაც ის 6%-იც დაუყვანია 1%-ზედ. გარდა ამისა არც ჯარიმას ახდევინებდნენ მუდამ. მაგ., ვისაც პასივ-

*) იხ. „ივერია“ № 288.

ჰგზავნიდნენ თავის შვილებს, მაგრამ ასეთ მანძილზედ სიარული მეტად საძნელო იყო. ამიტომ 10 დეკემბერს, ბალდათის სკოლის ზედამხედველის ი. გ. მემარნიშვილის თაოსნობით და მამასახლისის თანადასწრებით, შესდგა განაჩენი სკოლის დაარსებისა. იმავე დღესვე გამართეს სკოლა და მიიღეს 70 ყმაწვილი. მასწავლებლად მიიწვიეს ს. მემარნიშვილი.

განო.

# რუსეთი

ტამბოვიდგან «რუს. ვედ.»-ს ატყობინებენ: 7 დეკემბერს საგუბერნიო საერობო კრება დაიწყო. კრების დარბაზის შესავალ კარებებს პოლიცია იცავდა. საზოგადოებას გამოუცხადეს, დარბაზში შესვლა მხოლოდ ბილეთებით შეიძლებაო. საზოგადოება ძალიან გაჰკვირდა და აქვე გაიგო, რომ კრებაზედ დასასწრებლად ნება დართეს მხოლოდ 150 კაცს და ეს 150 ბილეთიც დიდი ხანია, რაც გაიყიდა. საზოგადოებამ უკმაყოფილება გამოაცხადა, მაგრამ პოლიციელებმა უპასუხეს, ყველაფერი კრების თავმჯდომარის თ-დის ჩოლოყაშვილის განკარგულებისამებრ მოხდაო: ზოგიერთმა მაინც მოახერხა და დარბაზში შევიდა. კერძო საზოგადოების ადგილი წვრილ ვაჭრებს, ჩარჩებსა და დუქნის ბიჭებს ეჭირათ. გამოკითხვიდგან აღმოჩნდა, რომ ყველანი პოლიციის ბრძანებით მოსულან. ყველას ბილეთი ჰქონდა, რომელზედაც თავადაზნაურთა წინამძღოლის ბეჭედი იყო დასმული. როცა ეს ამბავი საგუბერნიო გამგეობის წევრებმა გაიგეს, თავმჯდომარეს გამოუცხადეს: სანამ დარბაზში პოლიციის მიერ მოყვანილთა გარდა სხვა მსურველთაც არ შემოუშვებთ, ჩვენ არც კრებაზედ მოვალთ და არც საჭირო ქაღალდებსა და ცნობებს გამოგიგზავნითო. ამის შემდეგ თავმჯდომარე იძულებული იყო თავის განკარგულება გაეუქმებინა და დარბაზში კერძო საზოგადოებაც შეეშვა. ამ ამბის გამო ზოგიერთი ხმოსანი საბჭოში ლაპარაკის აღძვრას აპირობს (რ. ვ.).

— პეტერბურგის საბჭოს წევრებმა კედრინმა, ფალბორკმა, ევალდმა, პეტრუნკევიჩმა და შნიტნიკოვმა საბჭოს წინადადება მისცეს—მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრით, რომ 1903 წ. 8 ივნისის დებულება გადაისინჯოს და საქალაქო თვითმმართველობის უფლება გაფართოვდესო (რ. ვ.).

— ამ ცოტა ხანში პეტერბურგში გამოიცემა ახალი გაზეთი—„ნაში დნი“. გაზეთი პროგრესიულ მიმართულებისა იქნება. რედაქტორ-გამომცემლად დამტკიცებულია ცნობილი დრამატურგი ნევეჟინი (რ. ვ.)

— ამერიკულ გაზეთს „ჰერალდ“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, შინაგან საქმეთა მინისტრს, სვიატოპოლ-კმირსკის საპასპორტო სისტემის გაუქმება უნდაო (რ. ვ.).

— «ბირ. ვედ.»-ს კიშინიოვიდგან ატყობინებენ: სასულიერო სემინარიის 1—4 კლასების შეგირდებმა უწესოება მოახდინეს. მთავრობამ სემინარია დაკეტა და სასწავლებლიდან 100 მდე მოწაფე დაითხოვა. რადგან ადგილობრივ გაზეთებში არეულობის მიზეზები არ არის დაბეჭდილი, ამიტომ საზოგადოებაში რაღაც უცნაური და საარაკო ხმები დადის.

— ეხლახან კიშინიოვის პალატამ გაარჩია საქმე 30 კაცისა, რომელთაც კიშინიოვის ებრაელთა დარბევა ჰბრალდებათ. სასამართლომ დამნაშავეთ გადაუწყიტა: 17 კაცს 5 დღიდან 10-მდე ციხეში დაპატიმრება; 2—2 თვითა და 20 დღით; 11 კაცი გაამართლა (რ. ვ.).

— გულში მომხდარ ამბის გამოსაკვლევად დანიშნულ კომისიაში რუსეთმა თავის წარმომადგენლად ადმირალი კაზნაკოვი დანიშნა. ადამირალი პარიჟში მიდიოდა, მაგრამ საზღვარზედ არ გაუშვეს, რადგან პასპორტი პეტერბურგში დაჰვიწყებოდა. კაზნაკოვი მხოლოდ ბევრის ვაი-ვაგლახისა, წვალებისა და მოლაპარაკების შემდეგ გაუშვეს.

— ერთ დროს ვარშავის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგმა როჟესტვენსკიმ ბრძანება გასცა, საქმეების გარჩევის დროს დარბაზში არავინ არ შეუშვათ, არც გარეშე საზოგადოება და არც ვექილებიო. ამის შემდეგ ყველა საქმეს ხალხის დაუსწრებლად არჩევდნენ. ნაფიც ვექილებმა ამის თაობაზედ საოლქო სასამართლოს საზოგადო კრებაში საჩივარი შეიტანეს, მაგრამ სასამართლომ როჟესტვენსკი გაამართლა და ვექილებს უარი უთხრა. ვექილებმა საჩივარი სამოსამართლო პალატის საზოგადო კრებაში გადაიტანეს, მაგრამ იქაც ვერაფერს გახდნენ. ამ რიგად, როჟესტვენსკიმ მე-60 წლების სამოსამართლო დებულების მნიშვნელობა გააუქმა, ე. ი. საქმეებს ხალხის დაუსწრებლად არჩევდა. ეს განკარგულება საოლქო სასამართლოსი პალატის საზოგადო კრებამაც მოიწონა. ეხლა «რუს. ვედ.»-ს ატყობინებენ, რომ ზემოხსენებულ სასამართლოს კარები რაღაც უხილავის ძალით საზოგადოებისათვის ყოველთვის ღიაო.

# თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ქუთაისში. კვირას, 12 დეკემბერს ქუთაისის დრამატიულმა დასმა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით, წარმოადგინა ახალი პიესა «კაი გრაკხ», ხუთ მოქმედებიანი დრამა მონტისა, თარგმანი ივანე მაჭავარიანისა.

საზოგადოდ შემჩნეულია, რომ ახალი პიესა უფრო ბევრს საზოგადოებას იზიდავს. ყველა სიამოვნებით ისწრაფის, მისი შინაარსი მოისმინოს და ახალ აზრების გაგონებით ყურთა-სმენაც დაიტკბოს და გონების მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილოს... ეს ასეც უნდა იყოს... მაგრამ ეს პიესა იმდენად საინტერესო და დროს შესაფერია, რომ მისი არამც თუ პირველად ნახვა, არამედ ზედიზედ რამდენჯერმე მოსმენაც არ მოგწყინდებათ. რადგან პიესაში ჩაქსოვილი იდეია რომის უმაღლეს მმართველობის დამცველთა (ლუცი ოპიმე კონსული) და ხალხის კეთილ-დღეობის, ბედ-შავის მისი მდგომარეობის მფარველთ—კაი გრაკხთა შორის გამწვავებული ბრძოლა, მუდამ და ყოველთვის აღძრავს პატიოსანს ადამიანის გულში სიძულვილს და ზიზღს ფუფუნებით განებივრებულს პატრიცებისადმი და სრულს შებრალება, თანაგძნობას, დაბალ ხალხისადმი... ეს გრძნობა უკლებლათ გადმოგვცა პიესის შინაარსმა, ისეთის მშვენიერის, მსუბუქის და ნამდვილის ქართული ენით, რომ სრულებითაც არ იფიქრებდით, ეს თარგმანია და არა ორგინალიო. ამ გვარი ენა იშვიათად გვესმის ხოლმე ნათარგმნ პიესებში და შინაარსთან ერთად ამანაც იმოქმედა მსმენელზედ და შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაგვიორკეცა.

უმთავრეს როლს—კაი გრაკხისას ასრულებდა ბ-ნი ვლ. მესხიშვილი. უმთავრესი ტიპი ლიტერატურ ნაწარმოებში ყოველთვის მეტს ყურადღებას, ძალას და შეძლებას თხოულობს ავტორისაგან... ის არის უმთავრესი ტანი, რომლის გარშემოც დანარჩენი მომქმედნი ამ ტანის დიდების გამოსაჩენად შეუქმნია ავტორს. ამ წვრილფეხა მოქმედის სიცოცხლე, სიკვდილი, და ყოველგვარი მოძრაობა ყოველივე იმ უმთავრეს ტიპის კეთილდღეობისათვის შეუწირავს, მის სადიდებლად გაუჩენია—მაშასადამე, თუ ეს უმთავრესი ტიპი ავტორს სუსტად შეუქმნია—მაშინ დანარჩენი ტიპებიც მკრთლად და უფერულად გამოჩნდებიან...

ამ შემთხვევაში რაც მოეთხოვება ავტორს, ის მოეთხოვება მსახიობსა. ბ-ნი ვლ. მესხიშვილმა კი, თუმცა სავსებით გადმოგვცა ეს განხორციელება პიესის უმთავრეს ტიპისა, მაგრამ ძლიერ ბევრს უშლიდა მის თამამ, თავისუფალ მოძრაობას როლის სუსტად ცოდნა. ამ ნაკლის დასაფარავად გულმოდგინე სუფლიორი კვალ და-კვალ უდგა მსახიობს, მაგრამ ხმა მაღალმა სიტყვის მიწოდებამ არა ერთი და ორი შენიშვნა გამოიწვია საზოგადოების მხრივ. თუმც ეპატიევა ბ-ნ ვლ. მესხიშვილს ეს ნაკლი, რადგან ერთსა და იმავე დროს იგი მსახიობიც არის, ანტრეპრენიორიც, მაგრამ იმედია საზოგადოების პატივისცემასაც დააფასებს და თავის გონიერს და მძლავრს თამაშს ამით ჩრდილს არ მიაყენებს.

მარკ ფულვის როლს ასრულებდა ბ-ნი გამყრელიძე და მშვენივრათაც შეასრულა თავისი როლი. ამ მსახიობზე ის ითქმის მხოლოდ, რომ მუდამ მუყაითი და ბეჯითია, ყოველთვის მშვენივრად როლების მცოდნეა და ამიტომ დღითი დღე იზიდავს საზოგადოების სიმპატიას და ღირსიც არის. ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში გრძნობით შეასრულა თავისი როლი და საზოგადოების «ვაშაც» ღირსეულად დაიმსახურა.

კორნელიას როლს ქ. ივანიძისა ასრულებდა. ეს ქალი ძველი მსახიობია და თავის როლში ჩინებული მსახიობიც, იქ, სადაც წუწუნი, კვნესა-ვაება, გულის გამგმირავი ოხვრა-წუწუნი არის საჭირო, ქ-ნ ივანიძისას ბადალი არა ჰყავს; მიანდეთ და დარწმუნებული იყავით, რომ თავს გაიტანს. ამ საღამოსაც ამ გვარ გრძნობის გადმოცემა ჰხვდა წილად და, თუმც ამ ვაჟ-კაცურ გულის სიმაგრეს რომაელ დედის თავ-გამეტებული მამულის სიყვარულიც ზედ დაამატა, მაგრამ მსახიობმა მაინც შეფერებულ ხმის სიდინჯით და გულის სიმაგრით გადმოგვცა ეს გრძნობაც. კარგი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უთხრეს, რომ ომიდგან გაიპარა შენი შვილი და სიკვდილს გადარჩაო. ამ ამბავმა ისე აალელვა, რომ გმირულად შესძახა—«ის ჩემი შვილი არ არის! სიკვდილს როგორ დაემალაო»?!

ლუცი ოპიმე კონსულის როლს ბ-ნი თუთბერიძე ასრულებდა. ეს მსახიობიც ძველი მსახიობია და, მართალი გითხრათ, ბევრი მტერ-მოყვარე ჰყავს. თვითოეული მისი სცენაზე გამოსვლა ერთ მითქმა-მოთქმას და ცხარე ბაასს იწვევს მაყურებელთა შორის. ერთი ჯგუფი წინააღმდეგია მის სცენაზე მოღვაწეობისა, მეორე კი—მომხრე. იმათი არ ვიცი, მაგრამ მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ, ამგვარ მოღვაწეებს თუ ვული გაუტეხეთ და სცენას მოვაშორეთ, მაშინ ბევრი ხანი გაივლის ამ გვარ ნაკლულევანებიან არტისტებსაც ვეღარ ვიხილავთ ჩვენს სცენაზე და ამ გვარი ჩვენი მოთხოვნილება თითზე გვაკბენინებს. მართალია, ერთი უმთავრესი ნაკლი ამ მსახიობისა—მისი წვრილი ხმაა, რომელიც ძლიერს ბევრს ღირსებას აკლებს მის თამაშს, მაგრამ ამასთან სცენისათვის საჭირო ღირსებაც მოეპოვება. გარეგნობა, პატიოსანი შრომა, რიგიანი მოძრაობა, გრძნობათა სიუხვე და სხ. კონსულის როლი ბ-ნმა თუთბერიძემ ჩინებულად ჩაატარა და, ცოტაოდენ კიდევ რომ შეემოკლებია თავის სიტყვები, ცუდს არ იზამდა.

არა უშავდა-რა რონელის ქალს, რომ კიდევ უფრო მძლავრის გრძნობით გადმოეცა დედის და მეუღლის სიყვარული.

საზოგადოდ პიესამ ჩინებულად ჩაიარა და, ვინც ვიყავით, დიდად ნასიამოვნებიც დავრჩით, მაგრამ ცუდი ამინდის გამო საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო და, ვინც არ დაესწრო, ბევრსაც ინანებდა...

თარხანი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

16 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ლევ რაბინოვიჩს ნება მიეცა, ებრაული გაზეთი «დერ ტოგი» ვილნოში გამოსცეს.

**ვენა.** მინისტრ პრეზიდენტმა კერბერმა გადასწყვიტა, სამსახურს დაეთხოვოს და გულიანად სთხოვა იმპერატორს—ნება მისცეს, რომ სამსახურს ჩამოეთხოვოს.

**ბანგკოკი.** ის მიწა-წყალი, რომელიც საფრანგეთ-სიამის ხელ-შეკრულობის ძალით დაეთმოთ, გარდაცემულ იქმნება 7 დეკამბერს. შემდეგ ფრანგები ათის დღის განმავლობაში დასცლიან ჩანტაბანს.

**კელნი.** ტანჟერიდან სწერენ «კელ. გაზ.»: გარეშე სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენელნი და ქვეშევრდომნი, ფრანგებსა და ინგლისელებს გარდა, ფეცში რჩებიან.

**ტულონი.** ორი რუსის საზღვაო გენერალი და საფრანგეთის მთავარი ინჟინერი მოვიდნენ აქ და განაგრძობენ მოგზაურობას, რომელიც დაიწყეს იმიტომ, რომ რუსის ფლოტი აღადგინონ. გასინჯეს ის ნამუშავარი, რომელიც რუსეთისათვის მზადდება.

**არიოლი.** თავად-აზნაურთა კრებამ წინამძღოლის წინადადებით გადასწყვიტა გენერალ-ადიუტანტ სტესსელს დეპეში გაუგზანოს და გამოსთქვას განცვიფრება, რომ ასე გმირულად იცავენ პორტ არტურსა; აგრეთვე ულოცავენ გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინსა.

**ტოკიო,** 16 დეკემბერი (რეიტერი). იაპონელებმა 15 დეკემბერს ერლუნშანის ყველა სიმაგრეები აიღეს.—15 დეკემბერს საღამოთი გამოაცხადეს ახალი სია ზარალისა, რომელშიაც მოხსენებულია 89 მოკლული და 58 დაჭრილი აფიცერი.

**ნოვგოროდი.** მორიგმა საგუბერნიო კრებამ თავად-აზნაურობისამ დაადგინა უქვეშევრდომილესი გრძნობა გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს ჱ ადრესი მიართვას. კრებაზე დაესწრო, სხვათაშორის, თავადი ვასილჩიკოვიც.

**ტოკიო.** აზრად აქვთ გაგზავნონ მოროკოში საფრანგეთის ესკადრა, რომელშიაც იქნება ორი ჯავშნოსანი და ორი კრეისერი.

**პრაგა.** იმპერატორმა მიიღო კერბერის თხოვნა სამსახურიდან დათხოვნისა.

17 დეკემბერი.

**ლონდონი.** 16 დეკემბერი (რეიტ.). მოვიდა შემდეგი მოხსენება პორტ არტურისა ლაშქრიდან. 15 დეკემბერს 10 საათზე დილით მარცხენა ფრთამ იაპონიის შუბლის ლაშქრისამ ააფეთქა ბრუსტვერი ერლუნშანის ფორტისა და შემდეგ იერიშით აიღო. იაპონელებმა, აიღეს თუ არა ბრუსტვერი, მაშინვე მიჰყვეს ხელი სიმაგრეების აგებას ბატარეების შემწე-

---

ზედ ექნებოდა რაიმე, თუნდ მცირედი თანხაც, ამ გვარი პირნი სრულიათ თავისუფლდებოდნენ ჯარიმისაგან. ეს საქციელი კი უწესოა და მავნებელი ბანკისათვის. მომხდარა მაგალითები, რომ ჯარიმა არ გადუხდევინებიათ იმ გვარ წევრთათვის, რომელთაც ერთი გროშიც არ ქონებიათ პასივზედ; მაგ., ერთ წევრს გაუნაღდებია 1893 წელს 9 თამასუქი და თითქმის ყველა ესენი ყოფილა ვადა გასული. კომისიამ შეამოწმა საბუთებით ხუთი თამასუქი №№ 1518, 1625, 1759, 1780 და 2036. აღმოჩნდა, რომ ყველა ამ ვექსილებით ბანკს უნდა მიეღო ჯარიმათ 129 მ. 50 კ., მაგრამ ეს ფული გამგეობას არ გადუხდევინებია იმ წევრისთვის, თუმც მას ერთი გროშიც არ ქონებია პასივზედ. ამ გვარი მაგალითი არა იშვიათია ბანკის მოქმედებაში. ჯარიმას არ ახდევინებენ, ასე გაშინჯე, თვით ფრიად შეძლებულ წევრთაც კი. კომისიას არ შეეძლო აენუსხა ყველა მაგალითები და გამოერკვია ის თანხა, რაც დაუკარგავს ბანკს. ამ გვარათ, ერთი იმიტომ, რომ არ ჰქონდა ამისათვის საკმაო დრო, მეორე თვით ბანკის გამგეობის მიზეზითა ეს კითხვა უნდა ახსნილო მხოლოდ იმ საბუთთა შემოწმებით, რაც დგება ყოველ საოპერაციო დღეს. მაგრამ ეს საბუთები სულ მუდამ არ აღმოჩნდნენ თავ-თავის ალაგას; სხვა რიგათ რომ ვსთქვათ, გამგეობამ ვერ შესძლო მათი მოძებნა და კომისიისთვის გადმოცემა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია, მაგ., საბუთები 31 დეკემბრის 1895 წელსა. ამ დღეს, როგორც ჩანს, წლიურ ანგარიშის დასამთავრებლათ აღუნიშნავთ გადახდილათ მთელი სერია 1893 წლიდან ვადა-გასულ თამასუქებისა, ჯამით 20 ათასი მანეთის, მაშასადამე ამ დიდი თანხიდან იმოდენა ხნის ვადა-გასვლის შემდეგ უნდა შემოსულიყო კასსაში საკმაოთ დიდი ფული, ჯარიმა და სარგებელი; მით უმეტეს, რომ ამ დროს ახდევინებდნენ 9% სარგებელს და 12% ჯარიმას, მაგრამ გადახდილია თუ არა ეს ფული, კომისიამ ვერ შესძლო მისი გამორკვევა ზემორეაღნიშნულ მიზეზთა გამო».

2. ვადა გასული თამასუქები: პროტესტ ქმნილი და უპროტესტოდ. კამისიის რევიზიის დროს კასსაში ყოფილა პროტესტ ქმნილი თამასუქები 21,116 მანეთის, უპროტესტონი კი — 43,460 მანეთის, სულ—64,557 მანეთის. ეს თამასუქები არ ჰქონებია გადაცემული ბანკის ვექილს. ვალაპარაკოთ თითონ კამისია: „უნდა აღინიშნოს, რომ გადუხდელ თამასუქთა რაოდენობა არ ეთანხმება თამასუქთა რეესტრებს. მაგ., 1893 წლის რეესტრით სჩანს სამი გადუხდელი თამასუქი (№№ 1451, 1756 და 2350), 1800 წლის რეესტრით—4 თამასუქი 740 მანეთისა, 1895 წლის რეესტრით—9 თამასუქი 3200 მანეთისა, 1898 წლის რეესტრით —2 თამასუქი 700 მანეთისა. ეს თამასუქები არც ერთი არ აღმოჩნდა. გამგეობა ჰფიქრობს, რომ ზოგიერთი თამასუქი გადახდილია, მაგრამ მათში მიღებული ფული შეცდომით არ არის შეტანილი წიგნებშიო. 1893 წლის თამასუქების ნაცვლად მსესხებელთ მიუციათ გამგეობისთვის სოლო-თამასუქები».

კამისია აღნიშნავს, რომ გამგეობა ფრიად იშვიათად უშვებდა თამასუქს პროტესტშიო. პროტესტ ქმნილ თამასუქებს ვმზერთ უმთავრესად ამ ბოლო დროს. არც სხვა საშუალებით ახდევინებდენ თამასუქეში ფულს. მაგ., არის თურმე თამასუქები 1893 და 1894 წლების, რომელთა შესახებ საჩივარი დღემდეც არ აღუძრავთ და ამ რიგად იმ თამასუქთ დაჰკარგვიათ ძალა ათის წლის ხანგძლივობისა, იგი ბევრს შემთხვევაში გასულია თურმე. დამახასიათებელია კიდევ ერთი ფაქტი: ვადა გასულია 1899 წლის ერთ თამასუქს 4800 მანეთისას, რომელიც მიუცია ერთ სხვილს შავი ქვის-მრეწველს, მაგრამ მისთვის დღემდე არ მოეთხოვათ ფული, თუმც იგი დაუყოვნებლივ შეიტანდა იმ ფულსა; ეს თამასუქი დღემდე ძევს პორტფელში უპროტესტოთ და გადუხდელათო, ამბობს კომისია. შემდეგ განაგრძობს იგი: «გამგეობის ამ გვარ პასიურ მოქმედებას არა ბეჯით წევრთა მიმართ მიაქცია ყურადღება (1902 წელს) თვით მთავრობის რევიზორმა. საბჭოს თავმჯდომარე უმტკიცებდა რევიზორს, რომ ამგვარი საქციელი განგებ იყო გამოწვეული გამგეობის მიერ, რადგან ძალდატანებით, საჩივრებით და მამულის აწერით ჩვენ ბევრს ვერას გავხდებით; ამაზედ მთავრობის რევიზორმა საფუძვლიანათ შენიშნა, რომ „არა ბეჯით წევრთა მიმართ ლბილათ მოქცევას და თავაზიანობის პრინციპათ გადაქცევას მარად მიჰყავდა სამკრედიტო დაწესებულებანი (ე. ი. ბანკები) სამწუხარო შედეგამდეო“. და მართლაც ეს რამდონობით გამართლდა ჩვენს ბანკზედ. მთავრობის რევიზორის შენიშვნის შემდეგაც გამგეობა მტკიცედ ადგა ისევ თავის ძველს პოლიტიკას: თამასუქებს ფრიდა იშვიათად გზავნიდენ ხოლმე პროტესტში, საჩივარს ხომ თითქმის სულ არ მართავდნენ. ყველაზედ მეტი თამასუქები გამგეობას გადუცია ვექილისთვის მხოლოდ ამა წლის 5 მაისს, ეჭვი არაა, ბოლო კრებაზედ მომხდარ მწვავე კამათის გამო».*)

3. სასამართლოს საქმეები. ამაზედ აი რას ამბობს კომისია: «გადაცემულია ბანკის ვექილზედ 377 თამასუქი 144,896 მ. და 15 კ., ამათში გაუსაჩივრებია 368 თამასუქი 139,061 მ. და 15 კ.; მიუღიათ აღმასრულებელი ფურცლები 77,620 მან. აქედან გადაუხდევინებიათ 33,374 მ. და 27 კ. დანარჩენი ფურცლები კი მოქმედებაშია. აქედან სჩანს, რომ მაგარი ზომებით უფრო მიღწევიან მიზანს, ვინემ ძველი წესით». სულ კი შამოსულა დღემდე ვექილზე გაცემულ თამასუქებით 54,85: მ. 27 კ., ამ კატეგორიით გადუხდეველი თამასუქები დარჩენილა კიდევ 90,041 მ. და 88 კ., ამასვე უნდა დავუმატოთ, რომ კასსაში ძევს კიდევ 64, 557 მ. თამასუქები, რომლებზედაც უნდა იქმნას საჩივარი შეტანილი.

7. საკომისიო თამასუქები. ამ საკომისიო თამასუქთა ვითარების გამორკვევა შეუძლებელი შეიქნა კომისიისთვის სხვა და სხვა მიზეზთა გამო, მაგრამ ეს კი შეუგნია, რომ აქაც გამგეობა არა იშვიათად გადაცდენია წესდებას. ყოფილა მაგალითები, რომ თვით ბანკი იხდიდა საკომისიო თამასუქების ფულს. მთავრობის რევიზორის შენიშვნით ეს წესი მავნებელია ბანკისათვის, რადგან მსესხებელნი არ ამართლებენ ბანკის გამგეობის ნდობასაო.

აი, ბატონებო, ის ჩამაფიქრებელი ფაქტები და სურათები, რომლებიც გვამცნო და გადაგვიშალა თვალ-წინ კერძო რევიზიამ. ჩვენ აქ ამ ფაქტებს არაფერს დავუმატებთ. ესენი თავის თავათ აშკარათ მოწმობენ, თუ რა წესით მოქმედებდა ჩვენი ბანკის მანქანა. მაშ, დავსვათ აქ წერტილი და შემდეგ წერილში განვიხილოთ უფრო ვრცლად შავ-ქვაზედ გაცემული სესხის ვითარება და საიდუმლონი.

სვიმონ ქვარიანი.

*) ამ კრებაზედ მე თითონ არ ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც გუშინ ვცანი კრების ოქმიდან, მთავრობის პირველ რევიზორის ანგარიში წაუკითხავთ ამ კრებაზედ და კამათიც ყოფილა მასზედ. ხოლო წევრები ამისათვის არ ყოფილან მომზადებული, რადგან წინ და წინ არ დაუბეჭდიათ ეს ანგარიში. ეგრეთვე დიდ უმეტესობას არაფერი ესმოდა თურმე თვით კრებაზედაც, რადგან კითხვა და ბჭობა ყოფილა მხოლოდ რუსულ ენაზედ. ამასვე შენიშნავს თვით მთავრობის მეორე რევიზორი. ეს ანგარიში დღესაც არაა დაბეჭდილი და დარიგებული. ავტ.

ობით. თუმცა რუსები ძალიან ესროდნენ, მაგრამ მაინც ნაშუადღევის ოთხ საათზე აიღეს იერიშით და დაიჭირეს მთელი შინაგანი წყება იმ ადგილისა, სადაც რუსების მძიმე ზარბაზნები იყო. გააფთრებულის ბრძოლის შემდეგ რუსები განდევნეს სიმაგრიდან და საღამოს $7^1/_2$ საათზე ერლუნშანის ფორტი იაპონელების ხელში გადავიდა. — პორტ არტურთან მყოფ მესამე ლაშქრიდან იუწყებიან, რომ ერლუნშანის ფორტი დილის სამ საათს აიღესო. 15 დეკემბერს 10 საათზე დილით ააფეთქეს შვიდი დინამიტიანი ნაღმი, რომლითაც ფორტს ბრუსტვერი შეენგრიაა და პირი ჰქნა. ამ შენგრეულით შევიდა ზარბაზნების დახმარებით, ძლიერი რაზმი იაპონელთა ქვეითა ჯარისა და მიშინვე ხელთ იგდეს პირველი რიგი საბარო ზარბაზნებისა. გაჩნდა გააფთრებული ბრძოლა, რომელიც ფორტის აღებით გათავდა.

**ტოკიო**, 16 დეკემბ. (რეიტერი). იაპონელთა ზარალს ერლუნშანის აღების დროს ათას კაცამდე ანგარიშობენ. —14 დეკემბერს ნაშუადღევის სამ საათზე რუსნი დიდ ზარბაზნებს ესროდნენ რკინის გზის ხიდს მდინარე შახეზე სადგურს ახლო. ამავე დროს რუსის ბატარეები ესროდნენ ხოკიატუნსა და შულიძუსა. რუსის ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა კერლინტუნზე, მაგრამ მზის ჩასვლის დროს იაპონიის ცხენოსანმა ჯარმა უკან გააბრუნა რუსები. $8^1/_2$ საათზე საღამოთი რუსის ცხენოსნებმა ალყა შემოარტყეს იაპონელთა სადარაჯო სადგურს, მაგრამ იაპონელებს მაშველნი მოუვიდათ და უკან დაახევინეს რუსებსა. იაპონელებს სამი კაცი დააკლდათ.

**პეტერბურგი**, 16 დეკემბერი. ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე წაბძანდნენ იმ ადგილებში, საიდანაც უნდა გაიგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში ჯარი.

### საღამოს დეპეშები

17 დეკემბერი.

**ლონდონი**, 16 დეკ. (რეიტ.). ფოსტის მთავარი დირექტორი შეეკრა პირობით მარკონის ტელეგრაფის კომპანიას. ამ პირობის ძალით ტელეგრაფის სადგურებმა უნდა მიიღონ დეპეშები ზღვაში მყოფ გემებისათვის გადასაცემად; უნდა მიიღონ აგრეთვე ზღვის ნაპირად მყოფმა სადგურებმა დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

**ბატავია**, 16 დეკ. (ლლოიდი). ნაშუადღევის 4 საათზედ იაპონიის სამხედრო გემებმა ანიერისაკენ გაიარეს.

**შანჰაი**. 16 დეკემბერი (რეიტერ) პინგაპოში გილდიის წინამძღოლებმა დეპეშით აცნობეს ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ძალიან გვიჭირს თავი დაუჭიროთ ჩვენს თანამემამულეებს, რადგან რუსეთის კონსული პასუხს არ აძლევს დაოტაის ჩინელის მკვლელ „ასკოლდის“ მეზღვაურის გაცემაზედ.

**შანჰაი**. 16 დეკემბერი. (რეიტერი) სასეზოდგან კერძო ცნობათა თანახმად მტკიცდება, რომ კონტრ-ნაღმოსანის „რასტოროპნის“ კაპიტანი და ლეიტენანტი იმყოფებოდნენ იაპონელთა მიერ შეპყრობილ გემს «ნეგრეციაზედ».

**ჰელსინგფორსი**. 16 დეკემბერი. ჰელსინგფორსის რუსულ სახალხო სკოლასთან მსურველთათვის დაარსდა რუსული ენის კურსები. სწავლება უფასოა. ხარჯს იხდის ფინლიანდიის საიმპერატორო სენატი.

**ჩიფუ**, 16 დეკ. (რეიტ.). პორტ არტურის საერთო შტურმი 12 დეკემბერს დაიწყო. იაპონელები ლიაოტეშანს მიუახლოვდნენ. პორტ არტურიდან გუშინ წამოსულ ჩინელთა სიტყვით, რუსები სამს დღეს იცავდნენ თავიანთ თხრილებსა და უკან მხოლოდ მაშინ დაიწიეს, როცა იაპონელებმა ერთი პოზიცია დაიჭირეს, საიდგანაც რუსების თხრილებს ზარბაზანი თავგამოდებით დაუშინეს. რუსები იაპონელებზე ნაკლები იყვნენ. ბრძოლა 1 კილომეტრის მანძილზე იყო, რადგან იაპონელები რუსების ნაღმებს ერიდებოდნენ. —იაპონელები იუწყებიან, რომ გენ. ნოგის ჯარმა დაიჭირა იანთუბანის გორა. ამის მეოხებით იაპონელებს შეუძლიანთ ლიაოტეშანისა, იძუშანისა და ანძუშანიდგან რუსების გემებს ზარბაზანი დაუშინონ. ამ გორის ასაღებად იაპონელებმა ღამე რამდენიმე იერიში მიიტანეს. ერთერთ იერიშის დროს იაპონელები აირივნენ, რადგან შეცდომით ერთმანეთს თოფები დაუშინეს. მთვარის ამოსვლისას იაპონელებმა თავიანთი შეცდომა შეიტყეს და უკან დაიხიეს.—ორმა გემმა პორტ არტურში შესვლა მოახერხა. ერთი მათგანი უკან გამოსვლისას იაპონელებმა დაიჭირეს.

**ორიოლი**, 16 დეკემბერი. სათავადაზნაურო კრებამ ხელმწიფე მემკვიდრის დაბადების დღის აღსანიშნავად 3000 მან. გადასდო იმ ფონდისთვის, რომელსაც მთელი რუსეთის თავად-აზნაურობა აარსებს.

**პეტერბურგი**. გენ. ლეიტ. ვიტტე მე-6 კორპუსის უფროსად დაინიშნა; გენ. ლეიტ. რდაკე მე 21 კორპუსის უფროსად.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

14 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,75 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი | $6-7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $91^1/_4$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 423 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 316 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 265 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---

# განცხადებანი


## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

## „ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევის

ეს წამალი, სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0 6—16)

---

წყნეთის ქუჩის თავში, გაბაშვილის სახლში, საცა მილის წყალის ონკანია გაიმართა

**საგასტრონომიო მაღაზია**

## გერმანია

იყიდება საუკეთესო საუზმეულობა, თევზეული და შემწვარ-მოხარშული ქათამი და ინდოური. შეიძლება შემოკვეთა ინდოურისა დამდეგ ბედნიერ დღეებისათვის. (5—1)


---

## ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ჰბეჭდოს ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საქმიო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასაშინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობონ მას წერილით: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოღაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ს. დღოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოღაშვილი.


იბეჭდება და საშობაოდ დაურიგდებათ მეორე პრემიად „ივერიისა“ „აღდგომა“ (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

---

დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან

## საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის**

## სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავალ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი**: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (8—8).

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

## ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

## ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1905 г.

на ежедневную (не исключая и послѣпраздничныхъ дней) дешевую, литературную, иллюстрированую и общественной жизни (по расширенной программѣ, въ увеличнномъ размѣрѣ, вполнѣ могущую замѣнить дорогія газеты) газету

## „КАВКАЗСКІЙ ЛИСТОКЪ“

### ГОДЪ III

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

**За 340 годовыхъ номеровъ (форматъ газеты $13^1/_2 \times 9^1/_2$ вершковъ)**

| | На годъ. | На полгода. | На мѣсяцъ. |
|---|---|---|---|
| Въ Тифлисѣ | 2 р. 50 к. | 1 р. 60 к. | 35 к. |
| Съ пересылкой | 3 р. 75 к. | 2 р. — к. | 40 к. |
| Заграницу | 8 р. — к. | 5 р. — к. | 1 р. — к. |

Для служащихъ: закавказскихъ ж. д., военныхъ частей, сельскихъ общественныхъ канцелярій (черезъ управленіе, командировъ и уѣздныхъ начальниковъ) съ пересылкой на годъ 3 р. 20 к. Отдѣльные номера въ Тифлисѣ по 2 коп., а въ другихъ городахъ и на станціяхъ желѣз. дор. по 3 коп.

Новые подписчики 1905 года., желающіе получать теперь-же газету—доплачиваютъ до 1-го января въ Тифлисѣ 20 коп., а иногородніе 30 коп., за каждый мѣсяцъ.

Редакція, вступая въ третій годъ изданія своей газеты и идя навстрѣчу читателямъ, особенно серьезное вниманіе обратитъ на кавказкую и общероссійскую хронику, на свѣдѣнія русско-японской войны, а также на художественный отдѣлъ, помѣщая всевозможиые рисунки изъ войны и общественной жизни.

Торговому классу, какъ мѣстному, такъ и россійскому, будетъ даватъ свѣдѣнія о прибыщихъ грузахъ, наложенныхъ платежахъ и о грузахъ, неплоучившихъ получателями и пр. необходимыя свѣдѣнія.

Такса на объявленія: траурныя отъ 1 р. до. 2 руб., обыкновенныя на 1-й страницѣ 4 коп., на остальныхъ—по 3 коп. за строку петита. Квартирныя и трудовыя—по 20 коп. за каждое объявленіе.

Пріемъ подписки и объявленій: въ Тифлисѣ—въ редакціи, уголъ Ртищевской и Сололакской, домъ Бебутовыхъ, № 22; въ типографіи газеты «Кавказскій Листокъ», Вельяминовская, № 7; въ ,,Бюро труда''—Эриванская площадь, противъ квера, караванъ-сарай Тамамшевыхъ. Иногородніе адресуютъ въ Тифлисъ на имя редакціи. Газета имѣетъ собстенную, совершенно новую типографію, которая принимаетъ частные и казенные заказы по цѣнамъ внѣ конкуренціи.

Редакторъ-издатель *Н. И. Тамамшевъ*. (3—ვ—3).

---

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგები ენითა და მაგალითებით, რუსულის და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **«უცხო ანდაზები და წინადადებანი»**, რომლეც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროთ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—10)